ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო - საატესტაციო კომისიის სხდომის

ოქმი N6

2016 წელი 19 ივლისი ქ.თბილისი

სხდომას ესწრებოდნენ:

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარე - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე (ვიცე - მერი) - ლაშა აბაშიძე;

კომისიის წევრები:

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ირაკლი ლექვინაძე;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის უფროსი - გიგა ნიკოლეიშვილი;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების საქალაქო სამსახურის უფროსი - ნინო სულხანიშვილი;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის უფროსი - გივი კუბლაშვილი;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მუნიციპალური შესყიდვების საქალაქო სამსახურის უფროსი - დავით მორალიშვილი;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსი - გელა ჩივიაშვილი

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი - გაიოზ თალაკვაძე;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი - ირაკლი გვილავა;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი - კახაბერ გვანცელაძე;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის უსაფრთხოების საქალაქო სამსახურის უფროსი - ვალერი პაპიაშვილი;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი - ია მაქაცარია-ჩხაიძე;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საბურთალოს რაიონის გამგებელი - ბექა მიქაუტაძე;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ვაკის რაიონის გამგებელი - ნოდარ ტურძელაძე;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთაწმინდის რაიონის გამგებელი - გელა არჩვაძე;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ჩუღურეთის რაიონის გამგებელი - ზურაბ ჩიკვილაძე;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის დიდუბის რაიონის გამგებელი - ირმა ზავრადაშვილი;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ნაძალადევის რაიონის გამგებელი - ზაზა გაბუნია;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის გლდანის რაიონის გამგებელი - დიმიტრი ორმოცაძე;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის კრწანისის რაიონის გამგებელი - გიორგი კოპალეიშვილი;

კომისიის წევრი - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სამგორის რაიონის გამგებელი -გიორგი ბაგრატიონი.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარემ ლაშა აბაშიძემ სხდომა გახსნილად გამოაცხადა.

დღის წესრიგი:

1.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ეტაპების, შეფასების ფორმების, პირობებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმის განსაზღვრა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის შესათანხმებლად წარდგენა.

2.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის მეორე ეტაპის - ტესტირებისა და მე-3 ეტაპის - გასაუბრების აუცილებელ ქულათა მინიმალური ზღვრული ოდენობის განსაზღვრა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის შესათანხმებლად წარდგენა.

3.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად 2014-2016 წლებში გამოცხადებული კონკურსების მე-2 ეტაპის - ტესტირების გამსვლელი შედეგების ძალაში დატოვების შესახებ გადაწყვეტილების მიღება და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის შესათანხმებლად წარდგენა.

4.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოსაცხადებელი კონკურსის სავალდებულო ეტაპის-ტესტირების ჩასატარებლად, მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის განხორციელება გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

5.ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების თარიღისა და ადგილის განსაზღვრა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერისათვის შესათანხმებლად წარდგენა.

საკონკურსო - საატესტაციო კომისიის წევრთა მიერ ერთხმად იქნა მოწონებული დღის წესრიგი.

მოისმინეს: საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება დღის წესრიგის პირველი პუნქტით გათვალისწინებულ საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ვაკანტურ თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ეტაპების, შეფასების ფორმების, პირობებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმის განსაზღვრის თაობაზე.

ერთხმად იქნა მოწონებული ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ვაკანტურ თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ეტაპების, შეფასების ფორმების, პირობებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა დანართი N1-ის შესაბამისად.

მოისმინეს: საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება დღის წესრიგის მე-2 საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის მე-2 ეტაპის - ტესტირებისა და მე-3 ეტაპის-გასაუბრების, აუცილებელ ქულათა მინიმალური ზღვრული ოდენობის განსაზღვრის თაობაზე.

გადაწყვიტეს: ერთხმად, რომ კონკურსის მე-2 ეტაპის - ტესტირების მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს კანდიდატის მიერ გაცემული სწორი პასუხების 75%-ით, ანუ 60 კითხვიდან არანაკლებ 45 სწორი პასუხის ოდენობით, ხოლო კონკურსის მე-3 ეტაპზე-გასაუბრებაზე, მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვროს სპეციალიზებული კომისიის (დამსწრე წევრთა) მიერ კანდიდატის ინდივიდუალურ საშუალო არითმეტიკულ შეფასებათა მაჩვენებლით არანაკლებ 3 (სამი) ქულისა.

მოისმინეს: საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, დღის წესრიგის მე-3 საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მიერ მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად 2014-2016 წლებში გამოცხადებული კონკურსების მე-2 ეტაპის - ტესტირების გამსვლელი შედეგების ძალაში დატოვების თაობაზე.

გადაწყვიტეს: ერთხმად ძალაში დარჩეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად 2014-2016 წლებში გამოცხადებული კონკურსების მე-2 ეტაპის - ტესტირების გამსვლელი შედეგები, გამოსაცხადებელი კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე.

მოისმინეს: საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, დღის წესრიგის მე-4 საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოსაცხადებელი კონკურსის სავალდებულო ეტაპის-ტესტირების ჩასატარებლად, მომსახურების სახელმწიფო შესყიდვის გამარტივებული შესყიდვის საშუალებით განხორციელების თაობაზე.

გადაწყვიტეს: ერთხმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის მეორე ეტაპის - ტესტირების ჩატარების მიზნით, მომსახურების სახელმწიფო შესყიდვა, საქართველოს მთავრობის 2016 წლის 18 ივლისის N1418 განკარგულების საფუძველზე, განხორციელდეს სსიპ-საქართველოს იუსტიციის სასწავლო ცენტრისგან, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

მოისმინეს: საკონკურსო - საატესტაციო კომისიის თავმჯდომარის მოხსენება, დღის წესრიგის მე-5 საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოსაცხადებული კონკურსის ჩატარების თარიღის განსაზღვრის თაობაზე.

გადაწყვიტეს: ერთხმად ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოსაცხადებელი კონკურსის ჩატარების თარიღად განისაზღვროს 2016 წლის 27 ივლისი.

კონკურსის პირველი ეტაპი-განცხადებების გადარჩევა დასრულდეს განცხადების შეტანის ვადის ამოწურვიდან 3 სამუშაო დღის შემდეგ.

კონკურსის მე-2 ეტაპი - ტესტირება, დაიწყოს განცხადებების გადარჩევის დასრულებიდან არაუადრეს მესამე დღისა.

კონკურსის მე-3 ეტაპი - გასაუბრება დაიწყოს ტესტირების დასრულებიდან არაუადრეს მესამე დღისა და ჩატარდეს, ტესტირების შედეგების მიღებიდან გონივრულ ვადაში.

შენიშვნა: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოსაცხადებელი კონკურსის პროგრამა განისაზღვროს ,,ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპის ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73 /სა ბრძანების და ,,ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოხელეთა თანამდებობების დასაკავებლად დამატებითი საკვალიფიკაციო მოთხოვნების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 26 იანვრის N152 ბრძანების შესაბამისად.

კომისიამ დაადგინა:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს შესათანხმებლად წარედგინოს:

ა)ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ეტაპების, შეფასების ფორმების, პირობებისა და საკონკურსო - საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა, დანართი N1-ის შესაბამისად;

ბ)კომისიის გადაწყვეტილება, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის მე-2 ეტაპის-ტესტირებისა და მე-3 ეტაპის - გასაუბრების აუცილებელ ქულათა მინიმალური ზღვრული ოდენობის განსაზღვრის შესახებ;

გ) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის ჩატარების ადგილისა და თარიღის განსაზღვრის შესახებ.

2. დაევალოს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის სამდივნოს, შემოსული განცხადების გადარჩევა (პირის საკვალიფიკაციო მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენა და მოთხოვნილი დოკუმენტაციის სრულყოფილად წარმოდგენის ფაქტის შემოწმება)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდგომ, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

კომისიის თავმჯდომარე

ლაშა აბაშიძე

კომისიის წევრები:

ირაკლი ლექვინაძე

გიგა ნიკოლეიშვილი

ნინო სულხანიშვილი

გივი კუბლაშვილი

დავით მორალიშვილი

გაიოზ თალაკვაძე

ირაკლი გვილავა

კახაბერ გვანცელაძე

ვალერი პაპიაშვილი

ია მაქაცარია-ჩხაიძე

ბექა მიქაუტაძე

ნოდარ ტურძელაძე

გიორგი ბაგრატიონი

გელა არჩვაძე

ზურაბ ჩიკვილაძე

ირმა ზავრადაშვილი

ზაზა გაბუნია

დიმიტრი ორმოცაძე

გიორგი კოპალეიშვილი

გელა ჩივიაშვილი

დანართი N1

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის-ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კონკურსის ეტაპების, შეფასების ფორმების, პირობებისა და საკონკურსო-საატესტაციო კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების ფორმა

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის (შემდგომში - კომისია) მიერ კონკურსი მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად ტარდება 3 ეტაპად. კონკურსის პირველი ეტაპია განცხადებების გადარჩევა, მე-2 ეტაპი - ტესტირება, მე-3 ეტაპი- გასაუბრება. გასაუბრებაზე კონკურსის მონაწილის (შემდგომში- კანდიდატი) დაშვების ერთადერთი საფუძველია ტესტირების ეტაპზე მინიმალური გამსვლელი ზღვრის გადალახვა. კანდიდატი, რომელიც ტესტირების ეტაპზე ვერ გადალახავს მინიმალურ გამსვლელ ზღვარს, არ დაიშვება კონკურსის მე-3 ეტაპზე - გასაუბრებაზე.

2. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ორგანოთა სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტის მერიის მოხელეთა ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად 2014-2016 წლებში გამოცხადებული კონკურსის მე-2 ეტაპის - ტესტირების გამსვლელი შედეგი ძალაშია დაგეგმილი კონკურსის საბოლოო შედეგების გამოცხადებამდე, რაც კონკურსის მონაწილეს, ცნობის წარმოდგენის შემთხვევაში, ათავისუფლებს კონკურსის მე -2 ეტაპის (ტესტირების) გავლისგან.

3. „საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული კონკურსის ჩატარების წესის დატკიცების შესახებ „ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 18 ივნისის N412 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „გ" ქვეპუნქტის შესაბამისად, კონკურსის პროცესში ფასდება კანდიდატის კვალიფიკაცია, პროფესიული დონე, ცოდნა, პიროვნული თვისებები, მოტივაცია და უნარ-ჩვევები.

4. კონკურსის მე-2 ეტაპი - ტესტირება ტარდება „ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსისა და ადგილობრივი თვითმმართველობის მოხელის ატესტაციის ტესტირების ეტაპების ჩატარების მეთოდიკის, თემატიკისა და შეფასების კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ" სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს უფროსის 2014 წლის 10 სექტემბრის N73/სა ბრძანებით განსაზღვრული პირობებისა და პროცედურების შესაბამისად. ტესტირების მინიმალური გამსვლელი ზღვარი განისაზღვრება კონკურსანტის მიერ გაცემული სწორი პასუხების 75%-ით, ანუ 60 კითხვიდან არანაკლებ 45 სწორი პასუხის ოდენობით.

5. კონკურსის მე-3 ეტაპს - გასაუბრებას ატარებენ კომისიის თავმჯდომარის მიერ შექმნილი სპეციალიზებული კომისიები.

6. კონკურსის შედეგებზე კანდიდატთა ინფორმირებას, ელექტრონული ფოსტის ან/და მოკლე ტექსტური შეტყობინების მეშვეობით, ახორციელებს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციის საკადრო რესურსების სამსახური.

7. გასაუბრების ეტაპზე სპეციალიზებული კომისიის თითოეული დამსწრე წევრი ავსებს კანდიდატის ინდივიდუალური შეფასების ფორმას (დანართი N1.1) და ახდენს კანდიდატის ინდივიდუალურ შეფასებას ანკეტა-კითხვარის მიხედვით, მინიმალური 1-დან მაქსიმალური 5 ქულის ჩათვლით.

8. ანკეტა-კითხვარში პუნქტობრივადაა მოცემული შემდეგი ექვსი კრიტერიუმი: 1. კომუნიკაციის (მაგ: საკუთარი შესაძლებლობების წარდგენა) უნარი, 2. მოტივაცია, 3. პროფესიული მიღწევები, 4.ლოგიკური მსჯელობა და ანალიზის (მაგ: სიტუაციური მაგალითი) უნარი, 5. შესასრულებელი სამუშაოს ხედვა და მზადყოფნა, 6. დამატებით კითხვებზე პასუხები.

9. სპეციალიზებული კომისიის დამსწრე წევრის ინდივიდუალური შეფასება არის ანკეტა-კითხვარის პუნქტების მიხედვით დაფიქსირებულ ქულათა საშუალო არითმეტიკული, რომელიც მრგვალდება მეასედის სიზუსტით.

10. კანდიდატის დაუსწრებლად სპეციალიზებული კომისია ავსებს სპეციალიზებული კომისიის შეფასების დადგენილ ფორმას (დანართი N1.2), რომელშიც ფიქსირდება კომისიის დამსწრე წევრთა მიერ კანდიდატის ინდივიდუალური შეფასებების საშუალო არითმეტიკული. მიღებული ციფრი (დამრგვალებული მეასედის სიზუსტით) წარმოადგენს სპეციალიზებული კომისიის მიერ კანდიდატის საბოლოო შეფასებას.

11. გასაუბრების ეტაპზე მინიმალურ გამსვლელ ზღვარს წარმოადგენს 3 (სამი) ქულა (საბოლოო შეფასება). პირი, რომელიც სპეციალიზებული კომისიის მიერ გასაუბრების ეტაპზე მიიღებს საბოლოო შეფასებას 3 (სამი) ქულაზე (მეასედის დამრგვალებით) ნაკლები ოდენობით, აღარ განიხილება კონკრეტულ თანამდებობაზე დანიშვნის კანდიდატად. თუ გასაუბრების ეტაპზე ვერცერთი პირი სპეციალიზებული კომისიის მიერ ვერ მიიღებს საბოლოო შეფასებას 3 (სამი) ქულის (მეასედის დამრგვალებით) ოდენობით, ასეთ კონკრეტულ თანამდებობაზე კონკურსი ცხადდება ჩაშლილად.

12. სპეციალიზებული კომისია ვაკანტურ თანამდებობაზე დასანიშნად რეკომენდაციას აძლევს კანდიდატს, რომელსაც გასაუბრების შედეგად დაუფიქსირდება შეფასების ყველაზე მაღალი ქულა. თუ კონკრეტულ ვაკანტურ თანამდებობაზე წარსადგენ ორ ან მეტ კანდიდატს დაუფიქსირდა ქულათა (მეასედის სიზუსტით) თანაბარი რაოდენობა, სპეციალიზებული კომისიის მიერ მათ შორის საუკეთესო ვლინდება კენჭისყრით და უპირატესობა ენიჭება იმ კანდიდატს, რომელსაც კომისიის უფრო მეტი წევრი დაუჭერს მხარს. კენჭისყრის დროს ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება გადაწყვეტილებას, რომელსაც სპეციალიზებული კომისიის თავმჯდომარე უჭერს მხარს. კენჭისყრის პროცედურა და შედეგები აისახება სპეციალიზებული კომისიის სხდომის ოქმში.

13. კონკურსის შედეგები აისახება სპეციალიზებული კომისიის სხდომის ოქმში. აღნიშნული ოქმი, სპეციალიზებული კომისიის საბოლოო შეფასების ფორმები და კონკურსთან დაკავშირებულ სხვა დოკუმენტაცია/მასალები გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინება საკონკურსო-საატესტაციო კომისიას.

14. კონკურსის საბოლოო შედეგები აისახება კომისიის სხდომის ოქმში, რომელსაც თან ახლავს საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნა კანდიდატების ვაკანტური თანამდებობების დასაკავებლად რეკომენდაციის გაწევის თაობაზე (დანართი N1.3), საკონკურსო-საატესტაციო კომისიის ოქმსა და დასკვნას ხელს აწერენ კომისიის თავმჯდომარე, თავმჯდომარის მოადგილე და კომისიის წევრები.

15. კონკურის საბოლოო შედეგებზე ინფორმაცია და რეკომენდაცია ვაკანტურ თანამდებობებზე კანდიდატის წარდგენის ან კანდიდატის წარდგენაზე უარის შესახებ, კომისიის თავმჯდომარის მიერ წარედგინება ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერს.

დანართი N1.1

_____ _____ თავმჯდომარეობით სპეციალიზებული კომისიის
(თავმჯდომარის სახელი, გვარი)

წევრის_____მიერ_____
(სახელი, გვარი) (ვაკანტური თანამდებობის დასახელება)

თანამდებობაზე განსახილველი კანდიდატის_____
(სახელი, გვარი)

ინდივიდუალური შეფასების ფორმა

** შენიშვნა: სპეციალიზებული კომისიის წევრის შეფასება ქვემოთ მოტანილი ანკეტა-კითხვარის მიხედვით, მინიმალური 1-დან მაქსიმალური 5 ქულის ჩათვლით. თითოეულ პუნქტში შესაბამისი ციფრი შემოიხაზება წრიულად.*

1. კომუნიკაციის (მაგ: საკუთარი შესაძლებლობების წარდგენის) უნარი	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

2. მოტივაცია	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

3. პროფესიული მიღწევები	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

4. ლოგიკური მსჯელობა და ანალიზის (მაგ: სიტუაციური მაგალითი) უნარი	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

5. შესასრულებელი სამუშაოს ხედვა და მზადყოფნა	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

6. დამატებით კითხვებზე პასუხები	1	2	3	4	5
შენიშვნა: _____					

ინდივიდუალური შეფასება (საშუალო არითმეტიკული, მრგვალდება მეასედის სიზუსტით) _____ ქულა

კომისიის წევრი (სახელი, გვარი) _____ ხელმოწერა _____

თარიღი __ _____ 201 _ წ.

დანართი N1.2

_____ თავმჯდომარეობით სპეციალიზებული კომისიის
(თავმჯდომარის სახელი, გვარი)

მიერ_____
(ვაკანტური თანამდებობის დასახელება)

თანამდებობაზე განსახლველი კანდიდატის_____
(სახელი, გვარი)

საბოლოო შეფასების ფორმა

საბოლოო შეფასება ——— ქულა

სპეციალიზებული კომისიის თავმჯდომარე

(სახელი, გვარი) ——————— (ხელმოწერა)

სპეციალიზებული კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) ——————— (ხელმოწერა)

სპეციალიზებული კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) ——————— (ხელმოწერა)

სპეციალიზებული კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) ——————— (ხელმოწერა)

სპეციალიზებული კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) ——————— (ხელმოწერა)

სპეციალიზებული კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) ——————— (ხელმოწერა)

თარიღი: ———————

დანართი N1.3

მერიის აღმასრულებელი ორგანოების სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო–საატესტაციო კომისიის დასკვნა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოების სისტემის - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის მოხელეთა საკონკურსო-საატესტაციო კომისიის დასკვნით, თბილისის მერიის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად რეკომენდაცია მიეცეთ შემდეგ კანდიდატებს:

1. ვაკანტური პოზიცის დასახელება - შერჩეული კანდიდატი/ები(სახელი გვარი)
2. ვაკანტური პოზიცის დასახელება - შერჩეული კანდიდატი/ები(სახელი გვარი)
3. ვაკანტური პოზიცის დასახელება - შერჩეული კანდიდატი/ები(სახელი გვარი)
4. ვაკანტური პოზიცის დასახელება - შერჩეული კანდიდატი/ები(სახელი გვარი)
5. ვაკანტური პოზიცის დასახელება - შერჩეული კანდიდატი/ები(სახელი გვარი)
6. ....

კომისიის თავმჯდომარე

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

კომისიის წევრი

(სახელი, გვარი) _____ (ხელმოწერა)

თარიღი: _____